მიქელანჯელო თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურაში

(ნაწილი I)

გაეცანით ნაწყვეტს მატიას ენარის ნოველიდან, "ესაუბრე ბრძოლებზე, მეფეებსა და სპილოებზე". ნაწარმოები ნაწილობრივ დოკუმენტური ხასიათისაა. ნოველაში გამოყენებულია მიქელანჯელოს მიერ ძმისთვის მიწერილი წერილები. თუმცა ტექსტის ძირითადი ნაწილი დაფუძნებულია მწერლის ინტერპრეტაციაზე მიქელანჯელოს სულთნის კარზე მიწვევისა და სტამბოლში მოგზაურობის შესახებ. არსებობს ოფიციალური წერილი, რომელშიც სულთანი ბაიაზიდ II მოქანდაკეს თავისთან იწვევს, მაგრამ დადასტურებული წყარო, მიქელანჯელოს სტამბოლში ჩასვლისა, დღემდე არ არის მიკვლეული.

"მიქელანჯელოს საკუთარი ხელით გაკეთებული რვეული აქვს: ორად გაკეცილი ფურცლები ძაფით შეკრა და მუყაოს ყდა მიამაგრა. ამ რვეულში არაფერს იხატავს, აქ ვერც ესკიზებს ნახავთ; არც ლექსებს იწერს, რომლებსაც დროდადრო გონებაში თხზავს ხოლმე. ვერ იპოვით წერილების შავ პირებს ან შთაბეჭდილებებს ყოველდღიური ყოფისა თუ ამინდის თაობაზე.

ეს დალაქავებული რვეული მის საგანძურს ინახავს: საგნების, ანგარიშების, მასალების, დანახარჯის დაუსრულებელ სიებს, მენიუებს, უბრალო სიტყვების ჩამონათვალს.

დღიური მისი სკივრია.

სახელები ნივთებს აცოცხლებს.

11 მაისი - ლათინური აფრა, კლივერი, გვარლი, ბაგირი, აფრების აშვება.

12 მაისი - წვრილი თოკი, კაბესტანი, კილი, ტრაპი, კიჩო.

13 მაისი, 1506 წელი - ძენძი, აბედი, კვესი, ფითილი, ცვილი, ზეთი.

14 მაისი - სქელი ქაღალდის ათი პატარა ფურცელი, ხუთი დიდი ფურცელი, სამი საუცხოო კალამი, სამელნე, შავი მელნის ბოთლი, წითელი მელნის შუშა, გრიფელები, გრიფელის კალმები, სამი სანგინი.

ორი დუკატი მარინგის - ხარბს, ქურდს, მახრჩობელას.

ბედად, პური და ნახშირი უფასოა"1.

გამოყენებული ლიტერატურა: მატიას ენარი, "ესაუბრე ბრძოლებზე, მეფეებსა და სპილოებზე", გამომცემლობა "დიოგენე", 2017 წ.

---

1 მატიას ენარი, "ესაუბრე ბრძოლებზე, მეფეებსა და სპილოებზე" გვ. 20